დანართი 3

ხონის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ

მუნიციპლიტეტის მერი: ლადო ჯურხაძე

საანგარიშო პერიოდი: 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 30 სექტემბერი

ანგარიშის ტიპი: რიგითი

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1. **მუნიციპალიტეტის მერმა მერიის ორგანიზაციული საქმიანობის სფეროში განახორციელა შემდეგი საქმიანობა**

ხონის მუნიციპალიტეტის მერია არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს მერის უფლებამოსილების განხორციელებას.

მერია საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ" ევროპული ქარტიის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი"-ს, მოქმედი კანონმდებლობისა და „ხონის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების" შესაბამისად.

2024 წლის 9 თვის განმავლობაში აქტიურად ვთანამშრომლობდით სახელმწიფო ორგანოებთან სახელმწიფო კანცელარიასთან, სამინისტროებთან, საქვეუწყებო დაწესებულებებთან, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასთან, ადგილობრივი წარმომადგენლობით ერთეულებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

მერი საერთო ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას უწევს მერიის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას, სულ მერიაში ფუნქციონირებს 8 სტრუქტურული ერთეული.

მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებების ეფექტურად წარმართის მიზნით ფუნქციონირებს 17 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და ერთი - შპს

საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს

სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებისა და თანამშრომლებზე დაკისრებული ფუნქციების დროულ და ეფექტურ განხორციელებასა და დოკუმენტბრუნვის აღრიცხვიანობის საჯაროობას.

ჩვენ მჭიდრო ურთიერთობას ვინარჩუნებთ მოსახლეობასთან, თითქმის ყოველდღე უზრუნველვყოფდით მოქალაქეებთან შეხვედრას. ასევე, არის შემოღებული მიღების დღეები, კერძოდ სამშაბათი და ხუთშაბათი 12 საათიდან-15 საათამდე.

2024 წლის 9 თვის განმავლობაში შემოსული არის 7538 წერილი და კორესპოდენცია. მერიის შესაბამისმა სამსახურებმა დადგენილ ვადებში უზრუნველყვეს მათზე წერილების დაგზავნა, პასუხების მიწოდება ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის.

მერიაში საქართველოს კანონის "ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-40 მუხლის შესაბამისად განსაზღვრული არის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. 2024 წელს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში სხვადასხვა უწყებებიდან, ორგანიზაციებიდან, ფიზიკური პირებიდან შემოვიდა 19 განცხადება, პასუხი დადგენილ ვადებში გაცემულ იქნა

2. მუნიციპალიტეტის მერმა მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან ურთიერთობის სფეროში განახორციელა შემდეგი საქმიანობა

სანგარიშო პერიოში მერის მიერ ინიცირებული იქნა 11 დადგენილების და 30 განკარგულების პროექტი

3. მუნიციპალიტეტის მერმა მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში განახორციელა შემდეგი საქმიანობა

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის N19 დადგენილებით დამტკიცდა ხონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი. ბიუჯეტის შემოსულობების საერთო მოცულობა განისაზღვრა 14223,7 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 240,0 ათასი ლარი, გადასახადები 10 155 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 480,0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება 2060 ათასი ლარი. გადასახდელები 14223,7 ათასი ლარი.

წლის განმავლობაში ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებებით, შემოსულობები განისაზღვრა 19917,8 ათასი ლარი. გადასახადები 10 155 ათასი ლარი, გრანტები 8502,6 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 580 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავალი 680,0 ათასი ლარი.

2024 წელს სექტემბრის მდგომარეობით ფაქტიური შემოსულობებმა შეადგინა 15 519,8 ათასი ლარი. გეგმის 100,62%. გადასახადებიდან მიღებული შემოსავალმა შეადგინა 7780,9 ათასი ლარი, რაც გეგმის 101,2 %-ა, გრანტებიდან მიღებული შემოსავალმა 7216,4 ათასი ლარი, რაც გეგმის 104,7%-ა, სხვა შემოსავლებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 201,16 ათასი ლარი, რაც გეგმის 96,84%-ა, არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავალმა შეადგინა 152,12 ათასი ლარი რაც გეგმის 47,1 %-ა.

გადასახდელები

2024 წელს ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გადასახდელების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა
24 290,4 ათას ლარს.

- **ხარჯები წლიური გეგმა 13 605, 03 ათასი ლარი, სამი კვარტლის გეგმა 19 672,9 ათასი ლარი. მათ შორის:**
  - ✓ შრომის ანაზღაურება 2538,7 ათასი ლარი, სამი კვარტლის გეგმა 1 940,0 ათასი ლარი.
  - ✓ საქონელი და მომსახურება 2968 899 ათასი ლარი, სამი კვარტლის გეგმა 2 316, 82 ლარი
  - ✓ პროცენტი 18,6 ათასი ლარი, სამი კვარტლის გეგმა 9,6 ათასი ლარი
  - ✓ სუბსიდიები 6220,67 ათასი ლარი, სამი კვარტლის გეგმა 4853,77 ათასი ლარი.
  - ✓ გრანტები 21,0 ათასი ლარი, სამი კვარტლის გეგმა 21,0 ათასი ლარი.
  - ✓ სოციალური უზრუნველყოფა 1041,3 ათასი ლარი, სამი კვარტლის გეგმა 840,74 ათასი ლარი.
  - ✓ სხვა ხარჯები 795,86 ათასი ლარი. სამი კვარტლის გეგმა 756,66 ათასი ლარი.
- **არაფინანსური აქტივების ზრდა 10633,99 ათასი ლარი,** სამი კვარტლის გეგმა 8908,64 ათასი ლარი.
- **ვალდებულების კლება 51,4 ათასი ლარი.** სამი კვარტლის გეგმა 25,7 ათასი ლარი.

2024 წლის სექტემბრის მდგომარეობით გაწეულმა ფაქტიურმა გადასახდელებმა შეადგინა 16 114,76 ათასი ლარი:

- **ხარჯები 13605,03 ათასი ლარი , წლიური გეგმის 71,0% : მესამე კვარტლის**

გეგმა 9651,32 ლარი, გეგმის 90,,0%

- ✓ შრომის ანაზღაურება წლიური გეგმა შეადგენს 2450,59 ათასი ლარი, შესრულება წლიური გეგმის 74.0 %, მესამე კვარტლის გეგმა შეადგგენს 1940,0 ლარს, შესრულება მესამე კვარტლის გეგმის 90,0%.
- ✓ საქონელი და მომსახურება წლიური გეგმა შეადგენს 2968,89 ათასი ლარი, შესრულება წლიური გეგმის 80.0 %, მესამე კვარტლის გეგმა შეადგგენს 2316,82 ლარს, შესრულება მესამე კვარტლის გეგმის 80,0%.
- ✓ სუბსიდიები წლიური გეგმა შეადგენს 6 220,67 ათასი ლარი, შესრულება წლიური გეგმის 73.0 %, მესამე კვარტლის გეგმა შეადგგენს 4853,78 ლარს, შესრულება მესამე კვარტლის გეგმის 94,0%.
- ✓ პროცენტი წლიური გეგმა შეადგენს 18,6 ათასი ლარი, შესრულება წლიური გეგმის 59.0 %, მესამე კვარტლის გეგმა შეადგგენს 9,6 ათასი ლარს, შესრულება მესამე კვარტლის გეგმის 59,0%.
- ✓ გრანტები წლიური გეგმა შეადგენს 21,0 ათასი ლარი, შესრულება წლიური გეგმის 18.0 %, მესამე კვარტლის გეგმა შეადგგენს 21,0 ლარს, შესრულება მესამე კვარტლის გეგმის 18,0%.
- ✓ სოციალური უზრუნველყოფა წლიური გეგმა შეადგენს 1041,3 ათასი ლარი, შესრულება წლიური გეგმის 74.0 %, მესამე კვარტლის გეგმა შეადგგენს 840,74 ლარს, შესრულება მესამე კვარტლის გეგმის 91,0%.
- ❖ სხვა ხარჯებიწლიური გეგმა შეადგენს 795,86 ათასი ლარი, შესრულება წლიური გეგმის 74.0 %, მესამე კვარტლის გეგმა შეადგგენს 288,54 ათას ლარს, შესრულება მესამე კვარტლის გეგმის 87,0%.
- ❖ არაფინანსური აქტივების ზრდა წლიური გეგმა შეადგენს 10 633,99 ათასი ლარი, შესრულება წლიური გეგმის 61.0 %, მესამე კვარტლის გეგმა შეადგგენს 8908,64 ათას ლარს, შესრულება მესამე კვარტლის გეგმის 72,0%.
- ❖ ვალდებულების კლება 51.34 ათასი ლარი. 100%

სახელმწიფო შესყიდვები

2024 წლის სექტემბრის ჩათვლით სულ გამოცხადდა 58 ელექტრონული ტენდერი.

შედგა - 47 ელექტრონული ტენდერი, აქედან:

19 - ელ. ტენდერი სახელმწიფო ბიუჯეტით: 23 - რგფ; 11 - სოფლის მხარდაჭერის პროგრამა;

4 - ევროკავშირიდან მიღებული გრანტი. პროგრამა: მუნიციპალიტეტის ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარება".

11 - ელ. ტენდერი ადგილობრივი ბიუჯეტით.

არ შედგა - 7 ელ. ტენდერი - ტენდერში არცერთმა პრეტენდენტმა დააფიქსირა სავარაუდო ღირებულება.

უარყოფითი შედეგით დასრულდა - 3 ელ. ტენდერი.

შეწყდა - 1 ელ. ტენდერი.

გამარტივებული შესყიდვის წესით დაიდო 166 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება;

მონეტარული ზღვრის დაცვით - 80

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიება - 31

ექსკლუზივი - 3

წარმომადგენლობითი ხარჯები - 38

ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელები - 3

დაყოფა გეოგრაფიული დაშორების პრინციპით - 10

გადაუდებელი აუცილებლობა - 1

კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე გაფორმდა - 18 ხელშეკრულება.

დაჯარიმებული იქნა 16 მიმწოდებელი და გადახდილია პირგასამტეხლო 10 907.0 ლარის ოდენობით:

სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი 2024 წელს განისაზღვრა 220,0 ათასი ლარით. საკასო ხარჯი 176,285 ათასი ლარი. სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა 6 ოჯახი ჯამში 12900 ლარით, რომლებსაც სტიქიური უბედურების (ხანძარი) შედეგად დაუზიანდა ან/და გაუნადგურდა საცხოვრებელი სახლი, ან სათავსო ნაგებობები. სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ 447-ზე მეტ მოქალაქეს დაუფინანსდა სამედიცინო მომსახურების ხარჯები ნაწილობრივ ან სრულად. ჯამური თანხით 158,185 ათასი ლარით. უპატრონო მიცვალებულების ან სოციალურად გაჭირვებული ოჯახებში გარდაცვლილი ოჯახის წევრის სარიტუალო ხარჯების დასაფიანსებლად 100,0 ლარი (3 მომართვა). უსახკარო ადამიანების დროებით საცხოვრებელ ბინაში განთავსებისთვის 5200 ლარი (5 ოჯახი).

2024 წელს სამი კვარტლის მონაცემები მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთარი შემოსავლები შეადგინა:

№	დასახელება	ლარი
	ა(ა)იპ ხონის კომუნალური სერვის-ცენტრი	**12785.0**
	ააიპ ხონის სასაფლაო მეურნეობის მართვის სამსახური	**1306.0**
	ააიპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება	**440.0**
	ააიპ ხონის ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი	**1743.0**
	ააიპ ხონის ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი	**250.0**
	ა(ა)იპ ვეტა ჩხენკელის სახელობის ხონის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი	**34105.0**
	ა(ა)იპ ხონის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა	**6104.0**
	ააიპ ხონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა	**771.0**
	ააიპ ხონის კულტურის ცენტრი	**9314.0**
	ა(ა)იპ საინფორმაციო ცენტრი ხონი	**995.0**
	ა(ა)იპ ხონის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სამსახური	**6934.0**
	ა(ა)იპ სათნოების სახლი	**88862.0**

4. მუნიციპალიტეტის მერმა მუნიციპალიტეტის ქონების მართვის და განკარგვის სფეროში განახორციელა შემდეგი საქმიანობა

2024 წელს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ დამატებითი ქონების სახით გადმოგვეცა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დავარეგისტრირეთ შემდეგი უძრავი ქონება

N	მისამართი და საკადასტრო კოდი	შენობა-ნაგებობა (ფართი კვ.მ)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ფართი კვ.მ)
1.	ხონი,ჭანტურიას ქუჩა III შეს. N1 (ს/კ 37.07.38.722)	----	702.0
2.	ხონი, რუსთაველის ქ. N2-ის მიმდ. (ს/კ 37.07.38.987)	---	12.0
3.	ხონი, ჭავჭავაძის I ჩიხი (ს/კ 37.07.38.1020)	----	11.0

2024 წელს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადავეცით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება

N	ორგანიზაციის დასახელება	მისამართი	ფართობი კვ.მ	საბალანსო ღირებულება	სარგებლობის ვადა (წელი)
1.	ა(ა)იპ ,,ხონის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა“ ს/ნ 244973294	ჭავჭავაძის ქ. ჩიხი I, N2 ს/კ 37.07.38.536	5772.0 შენობა N1-1709.8 N2-19.4	817920.0 ლარი	5
2.	სსიპ ,,საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური“ ს/ნ 204534058	კაკაბაძის ქ. N17 ს/კ37.07.38.610.01.510 ს/კ37.07.38.610.01.511	ოთახები 17.6 ; 16.0	8800.0 ლარი 7200.0 ლარი	5

3	ა(ა)იპ ,,რეაბილიტაციის ცენტრი ნაიო“ ს/ნ 412694810	გურამიშვილის ქ. ს/კ37.07.38.610.01.502 ს/კ37.07.38.610.01.503 ს/კ37.07.38.610.01.504 ს/კ37.07.38.610.	ოთახები 39.28 39.15 39.82 39.54	53 891.0 ლარი 53 314.0 ლარი 54 227.0 ლარი 53 846.0 ლარი	2
4	ა(ა)იპ ,,ხონის მუნიციპალიტეტისსაზო გადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ ს/ნ 244968950	კაკაბაძის ქ, N17 ს/კ37.07.38.618.01.514	ოთახები: N221;N222; N223;N224; N229;N230; N231-სულ 145.5 კვ.მ	72 750.0ლარი	5
5	ა(ა)იპ ,,იურიდიული დახმარების სამსახური“ ს/კ 204534058	კაკაბაძის ქ, N17 ს/კ37.07.38.618.01.517	ოთახი N127-21.40	10 700.0 ლარი	5

2024 წელს უსასყიდლო თხოვების ფორმით გადავეცით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება

N	ორგანიზაციის დასახელება	მოძრავი ქონება	საბალანსო ღირებულება	სარგებლობის ვადა (წელი)
1.	ა(ა)იპ ,,ხონის კომუნალური სერვის ცენტრი“ ს/ნ 244974337	ექსკავატორ დამტვირთველი (JCB-3CX ECO)	254 300.0 ლარი	არსებობის ვადით

2024 წელს ელექტრონული აუქციონის წესით იჯარით გავეცით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისრტირებული შემდეგი უძრავი ქონება

N	საიჯარო ობიექტი	მისამართი	ფართობი კვ.მ	საიჯარო ღირებულება (წლიური)	სარგებლობის ვადა (წელი)
1	არასაცხოვრებელი - კომერციული ფართი- მაღაზია N2	პ. კაკაბაძის ქ. N13 ს/კ37.07.38.539.01.508	13.9	2200.0 ლარი	5
2	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და შენობა N1	პ. კაკაბაძის ქუჩა ს./კ 37.07.38.520	12.0	2750.0 ლარი	5
3	არასაცხოვრებელი - კომერციული ფართი- მაღაზია N4	პ. კაკაბაძის ქ. N13 ს/კ37.07.38.539.01.508	14.4	2310.0 ლარი	5
4	არასაცხოვრებელი - კომერციული ფართი- მაღაზია N5	პ. კაკაბაძის ქ. N13 ს/კ37.07.38.539.01.508	35.0	5390.0 ლარი	5
5	არასაცხოვრებელი - კომერციული ფართი- მაღაზია N3	პ. კაკაბაძის ქ. N13 ს/კ37.07.38.539.01.508	14.4	2310.0 ლარი	5
6	არასაცხოვრებელი - საოფისე ფართი-	გურამიშვილის ქ. ს/კ37.07.38.610.01.500	39.55	4565.0 ლარი	5

7	არასაცხოვრებელი - საოფისე ფართი-	პ. კაკაბაძის ქ. N17 ს/კ37.07.38.618.01.507	13.2	1584.0 ლარი	5
8	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. გოჩა ჯიხაიში	1800	2200.0 ლარი	5

2024 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის შესაბამისად ელექტრონული აუქციონის წესით განვახორციელეთ შემდეგი უძრავი და მოძრავი ქონების პრივატიზება

N	დასახელება	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი	შენობა-ნაგებობა	საპრივატიზებო ღირებულება ლარი
1.	**სოფ. მათხოჯში** მდებარე შენობა-ნაგებობა N-ის დემონტაჟი	37.04.33.167	1185.0 კვ.მ	-----	20 375.0
2.	**ჭავჭავაძის ქუჩაზე** მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	37.07.38.989	9.0 კვ.მ	-----	1650.0
3.	**პ. კაკაბაძის ქუჩზე** მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა N1	37.07.38.994	52.0 კვ.მ	N1	56000.0
4.	**რუსთაველის ქ N2-ის** მიმდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	37.07.38.997	1635.0 კვ.მ	-----	44990.0
5.	**რუსთაველის ქ N2-ის** მიმდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	37.07.38.987	12.0 კვ.მ	------	1650.0
6.	**სოფელ ღვედში** მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	37.03.32.448	120.0 კვ.მ	-----	6600.0

2024 წლის სექტემბრის მდგომარეობით გაიჯარებული და პრივატიზებული ქონებების შედეგად სექტემბრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსულია-154 574.0 ლარი

ხონის მუნიციპალიტეტის მერიამ 2022 წელს შეიმუშავა და დაამტკიცა მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტი 2020-2030წ. მიმდინარეობს დოკუმენტში დასახული მიზნებისა და ამოცანების ეტაპობრივი შესრულება. სამუშაოების მონიტორინგს ახორციელებს ეკონომიკის, ქონების აღრიცხვისა და მართვის სამსახური, მონიტორინგის ყოველწლიურ ანგარიშს შემდგომ განსახილველად წარუდგენს მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ საბჭოს. სამსახური ასევე ჩართულია საშუალოვადიანი დოკუმენტის შემუშავების პროცესში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიურ მუშაობას ახორციელებდა ნარჩენების მართვის საკითხებთან დაკავშირებით, ორგანიზებას უწევდა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრებს საჯარო სკოლის მასწავლებლებთან და მოსწავლე ახალგაზრდობასთან. ასევე ხელმძღვანელობდა გარემოს დაცვით ღონისძიებებს- მათ შორის დასუფთავების აქციებს.

მუნიციპალიტეტს გააჩნია მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2023-2027 წლის გეგმა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს გეგმაში დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებული შესაბამისი სამუშაოები. სამსახური მუშაობს მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პირებისათვის სტატუსის მინიჭების საკითხებზე, ახორციელებს მონიტორინგს. სექტემბრის თვისათვის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მისანიჭებლად შემოსულია 5 განცხადება, მიმდინარეობს მოკვლევა.

დაიწყო სოციალურად დაუცველი, შრომისუნარიანი პირების საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების პროგრამა, რომელის შესრულება ნებისმიერი კვალიფიკაციის პირს შეუძლია 18 წლიდან საპენსიო ასაკამდე. აღნიშნულ პროგრამამით გათვალისწინებულ ყველა სახის მომსახურეობას (ვაკანსიის მოძიება, მონიტორინგი, დოკუმენტაციის ატვირთვა და ა.შ) ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის სპეციალისტები ახორციელებენ. დღეის მდგომარეობით სხვადასხვა ვაკანსიაზე დასაქმებულია 248 ადამიანი, ახალი ვაკანსიების რეგისტრაცია კი, მოთხოვნის შესაბამისად მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს.

5. მუნიციპალიტეტის მერმა აღმასრულებელი საქმიანობის სხვა სფეროში განახორციელა შემდეგი საქმიანობა

- **აუდიტისა და შიდა კონტროლის მიმართულებით**

შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური 2024 წელს მუშაობას წარმართავდა ხონის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული, რისკ-ფაქტორების შეფასების საფუძველზე შემუშავებული 2024 წლის სამუშაო გეგმის შესაბამისად, რომელიც მიზნად ისახავდა მერიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების/ა(ა)იპ-ების წინა წელს გაწეული საქმიანობის შესწავლას და აუდიტორული შემოწმების დროს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს.

2024 წლის სამუშაო გეგმის თანახმად, შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურს ცხრა თვეში უნდა განეხორციელებინა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სამი არასამეწარმეო/არაკომერციული იურიდიული პირის ფინანსური, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტორული შემოწმება. ეს ობიექტებია:

- ა(ა)იპ-ი „ხონის ინფორმატიკის ცენტრი“
- (ა)იპ-ი „ხონის ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი“
- ა(ა)იპ-ი „იპოლიტე ხვიჩიას სახელობის ხონის კულტურის ცენტრი“

აღნიშნული ობიექტების შემოწმება დასრულებული იქნა 2024 წლის სექტემბრის დასაწყისისთვის.

შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევები ჩვენს მიერ ასახული იქნა აუდიტორული შემოწმების ანგარიშებში.

გამოვლენილი დარღვევების გამოსწორების მიზნით აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიმართ გაცემული იქნა რეკომენდაციები, სულ გაცემული იქნა 19 რეკომენდაცია, მათ შორის 2 ვადიანი რეკომენდაცია, რომელიც ეხება ზედმეტად გაცემული თანხების უკან დაბრუნებას. აქედან ერთი ვადიანი რეკომენდაცია შესრულებული იქნა დროულად 2024 წლის 31 მაისამდე.

შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური, გარდა აუდიტორული შემოწმებებისა, მიმდინარე წლის ცხრა თვეში ახორციელებდა აუდიტორული შემოწმებების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს.

ა(ა)იპ-ი ხონის მუნიციპალიტეტის „სამუსიკო სკოლის“ აუდიტორული შემოწმებისას გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგის ჩატარებისას,

შემოწმებული იქნა 11 რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა. შემოწმებისას გამოვლინდა, რომ 11 რეკომენდაციიდან შესრულებული იყო 9 რეკომენდაცია. შეუსრულებელი იყო 2, რაზეც გაცემული იქნა დამატებითი რეკომენდაცია და მათ შორის 1 რეკომენდაცია შესრულებული იქნა 2024 წლის 03 ივლისს, განხორციელებულია ზედმეტად დარიცხული თანხის უკან დაბრუნება.

ა(ა)იპ-ი „ხონის კომუნალური სერვის-ცენტრი"-ს მონიტორინგის პროცესში, შემოწმებული იქნა 7 რეკომენდაციის მდგომარეობა. შემოწმებისას გაირკვა, რომ 7 რეკომენდაციიდან შესრულებული იყო 5, მათ შორის 2 რეკომენდაცია შესრულებული იყო ვადაგადაცილებით. შეუსრულებელი იყო 2 რეკომენდაცია.

რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ჩატარების შესახებ, ჩვენს მიერ იწერება ანგარიში, რომელიც მიეწოდება აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობას.

- ზედამხედველობის მიმართულებით

2024 წლის საანგარიშო პერიოდში სამსახური მუშაობას ახორციელებდა საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად. ფუნქციების მიხედვით სამსახურს ევალება: ადგილობრივი მოსაკრებელის ამოღების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ზედამხედველობის განხორციელება, გარე რეკლამის განთავსების რეგულირება, გარე ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმების შედგენა და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

2024 წლის ადგილობრივ მოსაკრებლებთან დაკავშირებით ჩატარდა აქტიური მუშაობა, სხვადასხვა სახის მოსაკრებლებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 31996 (ოცდათერთმეტიათასცხრაასოთხმოცდათექვსმეტი) ლარი. აქედან დასუფთავების მოსაკრებელი შეადგენს 24499 (ოცდაოთხიათას ოთხასოთხმოცდაცხრამეტი) ლარს. საიჯარო ობიექტების ქირა 3159 (სამიათასასორმოცდაცხრამეტი) ლარია და მიწათსარგებლობის იჯარა 4338 (ოთხიათასსამასოცდათვრამეტი) ლარი.

მიმდინარე წელს შემოვიდა შვიდი განაცხადი ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე, მიღებულია შვიდივე შენობა-ნაგებობა. ზედამხედველობის სამსახური ახორციელებს კონტროლს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების გარე იერსახის დაცვაზე, შენობა-ნაგებობების ფასადების, ვიტრინების და ჯიხურების ესთეტიკურ მდგომარეობის შესაბამისობაზე.

ფარულ სამუშაოებზე ზედამხედველობა გაეწია შემდეგ პროექტებს: ქ. ხონი სოფელ საწულუკიძეოში შათირიშვილებისა და დარსაველიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია.ქ ხონში გურამიშვილის ქ. II შესაქხვევში გზის მოასფალტების

სამუშაოები, სოფელი გუბში ადმინისტრაციულ ერთეულში მე- 14 ქ. გზის მოასფალტების სამუშაოები.ხონის სოფელ მათხოჯში გზის მოასფალტება და სოფელ ლეფილიეში ბეტონის გზის დაგება, სოფელ ივანდიდიში მინი მოედნის გარეგანათების მოწყობა, სოფელ გოჩა ჯიხაისში ცაგარეიშვილების უბანში გზის მოასფალტება. სოფელ მათხოჯში მე-10 მე-17 და მე-18 ქუჩების მოასფალტება. სოფელი კინჩხა, გორდი, ნახახულევი, მათხოჯი, კუხი ქუტირი, ივანდიდი, გოჩა ჯიხაიშში და გუბში სანაგვე ურნის შემოღობვითი სამუშაოები. ხონის დევნილთა დასახლებაში სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია აღდგენითი სამუშაოები. ხონში (ჭითას მინდორის) მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის რეაბილიტაცია დაზიანებული მავულ ბადის დემონტჟი ატრაქციონების დემონტაჟი რეაბილიტაცია. ქ. ხონის სამუსიკო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია. ხონის სოფელ ნახახულევში მე-5 ქუჩის მოასფალტება. ხონის დევნილთა დასახლების მიმდებარედ ხიდ ბოგირის მოწყობა. ხონის სოფელ კონტუათში მე-3 ქუჩის ასფალტის საფარის მოწყობა. ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ჯიხაიში ბოკელავაძეების უბანში გზის საფარის მოასფალტება. სოფელ ნახახულევში მე-8 ქ. გზის მოასფალტება. სოფელ დედალაურში ჭოლოკავეების უბანში გზის საფარის მოასფალტება. სოფელ ზედა გორდში კოპიას უბანში გზისა და ხიდბოგირის რეაბილიტაცია. სოფელ დედალაურში კინწურაშვილების უბანში ბეტონის საფარის მოწყობა. ქ. ხონში დევნილთა დასახლების აფხაზეთის ქუჩის რეაბილიტაცია. სოფელ მათხოჯში წყალშემკრების სისტების სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია.ქ. ხონის სანაგვე ურნების შემოღობვითი სამუშაოები. სოფელ სუხჩაში ასფატის გზის საფარის მოწყობა. სოფელ დედალაურში ჭელიძეების უბანში გზის საფარის მოასფალტება. სოფელი ზედა გორდში, გაღმა ნოღაში, ქვედა გორდში, დედალაურში, ნამაშევში, მათხოჯში, ახალბედისეულში, უძლოურში, ნახახულევში, ქუტირში,პატარა ჯიხაისიში და გელავერში გარე განათების სისტემების მოწყობა.ხონის დევნილთა დასახლებაში სკვერის მოწყობა რეაბილიტაცია. სოფელ დედალაურში ტუნგოების დასახლებაში გზის მოასფალტება. სოფელი დიდი კუხში მინი სტადიონის გარეგანათების სისტემის მოწყობა.სოფელ ჩუნეში გზის ბეტონის გაგრძელების სამუშაოები. ქ. ხონში დუმბაძის ქ. N I ჩიხის გზის მოასფალტების სამუშაოები. სოფელ დიდ გუბში გეგუჩაძეების უბანში საძოვრებზე და ყანებთან არსებული გზის მოხრეშვა-აღდგენითი სამუშაოები. სოფელ ღვედში სასაფლაოსთან მიმავალი გზის ბეტონის საფარის დაგება. ქ. ხონში გეგიას I ჩიხისა და სოლომონ მე-2 -ის ქუჩის I ჩიხის გზის მოასფალტება, ასევე რუსთაველის ქუჩის I შესახვევის გზის მოასფალტება. სოფელი ბანგვეთის მისასვლელი გზის ბეტონის საფარის მოწყობა. სოფელი ჩაის მეურნეობის მე-2 უბანში მდებარე N4 საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია. ქ. ხონში ცენტრალური გზის გარე განათების მოწყობა. სოფ. კინჩხაფერდიდან ასხის მთაზე მისასლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები(მიმდინარე).ქ. ხონში ბარათაშვილის N52-2-ში ნათია კერძაიას სახლის რეაბილიტაცია. სოფელ ივანდიდში ვალერიან ქათამაძის საცხოვრებელი სახლის

რეაბილიტაცია. სოფელ ჩაის მეურნეობის მეორე უბანში მდებარე N2საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია.ქ. ხონში რუსთაველის ქ N 102-ში მდებარე ქეთო სულაბერიძის საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია.

- **სოციალური მიმართულებით**

N	პროგრამის დასახელება	დახმარებით მოსარგებლეთა რაოდენობა	გახარჯული თანხის რაოდენობა
1	მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება	49	10500
2	ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირების სამედიცინო მომსახურების დაფინანსება/თანადაფინანსება	148	120860
3	სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსება/თანადაფინანსება	937	192862
4	სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება	3	4500
5	შშმ. სტატუსის მქონე, 18 წლამდე ასაკის ბავშვების მეურვეზე/მზრუნველზე/მხარდამჭერეზე ერთჯერადი ფულადი დახმარება	22	5800
6	18 წლის ასაკის ზემოთ მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული გონებრივი განვითარების ჩამორჩენილობის მქონე,ცერებრალური დამბლით,დაუნის სინდრომით დაავადებული პირებზე ერთჯერადი ფულადი დახმარება	89	17800
7	ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის ბინის ქირით უზრუნველყოფა	0	0
8	ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქების სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილე პირების ერთჯერადი ფულადი დახმარება	3	300
9	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის,თავისუფლებისა და	7	3500

	დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპული პირების ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება		
10	მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფულადი დახმარება	45	16400
11	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის,თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე ვეტერანების ერთჯერადი ფულადი დახმარება	230	20300
12	მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და მასთან გათანაბრებული პირების ერთჯერადი ფულადი დახმარება	2	300
13	„დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის“სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებულ ბენეფიციარებზე(ტრანსპორტირებისათვის) ყოველთვიური ფულადი დახმარება	15	45000
14	არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების „დღის ცენტრების“ყოველთვიური დაფინანსება	2	3600
15	სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე ვეტერანების(უნგრეთი და ავღანეთი)ერთჯერადი ფულადი დახმარება	13	1300
16	18 წლამდე ასაკის შშმ.პირების სასმენი აპარატის ნაწილების(სადენის,კვების წყაროს და საშრობი ტაბლეტის)დაფინანსება/თანადაფინანსება	4	1980
17	1-დან 18 წლამდე ასაკის ცელიაკიით დაავადებული ბავშვების ყოველთვიური ფულადი დახმარება.	2	4500
18	მხედველობით მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ყოველთვიური ფულადი დახმარება	52	17900

19	0-დან 15 წლამდე აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების რეაბილიტაციის დაფინანსება/თანადაფინანსება	15	27000
20	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის,თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად დაინვალიდებული ვეტერანების ერთჯერადი ფულადი დახმარება	1	700
21	0-დან 18 წლამდე ასაკის დიაბეტით დაავადებული ბავშვების ყოველთვიური ფულადი დახმარება	6	13500
22	0-დან 18 წლამდე ასაკის ეპილეფსიით დაავადებული ბავშვების ყოველთვიური ფულადი დახმარება	7	15750
23	15 წლამდე ასაკის ცერემბრალური დამბლით დაავადებული შშმ.პირების ერთჯერადი სეზონური საკურორტო-სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსება(ბინის ქირით უზრუნველყოფა)	2	600
24	მშობელთა მზრუნველობამოკლებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვების მეურვეზე/მზრუნველზე ერთჯერადი ფულადი დახმარება	5	2700

- **კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის მიმართულებით**

კულტურა

საინტერესო და მრავალფეროვანი ღონისძიებები განხორციელდა კულტურის სფეროს განვითარების მიმართულებით, მათ შორის აღსანიშნავია:

- პრემიერის ინიციატივით საახალწლო-საშობაო ღონისძიება ხონის ცენტრალურ მოედანზე, სადაც ადგილობრივ შემსრულებლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს თბილისიდან მოწვეულმა ცნობილმა ბენდებმა. ღონისძიება დატვირთული იყო არაერთი საახალწლო შოუ პროგრამით და აქტივობით, მოეწყო საახალწლო სოფელი,

სადაც გაიმართა ადგილობრივ მეწარმეთა პროდუქტისა და ხელოვანთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.

- გამომდინარე იქიდან, რომ წელს აღდგომის დღეებს დაემთხვა ,,ხონელობა", ვერ მოხერხდა ტრადიციული სახალხო დღესასწაულის აღნიშვნა.

- ყოველწლიურად იმართება რეგიონული თეატრალური ფესტივალი ,,თეატრალური იმერეთი". წელს ხონის სახალხო თეატრის მიერ წარმოდგენილმა სპექტაკლმა ,,აზნაურებმა" (დავით კლდიაშვილის მოთხრობების მიხედვით) მოიპოვა გრან პრი, რეჟისორი - გოჩა კაპანაძე.

- უნდა აღინიშნოს ხონის სალოტბარო სკოლის მოსწავლეთა წარმატებული მონაწილეობა

არაერთ ღონისძიებაში. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ლევილის ქართულ ფესტივალში მონაწილეობა. ასევე, ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში გამართული სალოტბარო სკოლების 10 წლის საიუბილეო კონცერტი.

- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით გაიმართა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიება: საზეიმოდ მოეწყო ქალაქის ცენტრალური მოედანი, განთავსდა თემატური, ისტორიული კუთხეები და ბავშვთა გასართობი სივრცეები, თავდაცვის ძალების სამხედრო ტექნიკა, შეიარაღება და აღჭურვილობა; დასახელნენ და დაჯილდოვდნენ საპატიო ხონელები; მოეწყო ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა და სხვა აქტივობები. ღონისძიების ბოლოს გაიმართა ადგილობრივი და თბილისიდან ჩამოსული მუსიკოსების კონცერტი.

- წელს პირველად, ხონში, მეთორმეტეკლასელებისთვის ბოლო ზარის მასშტაბური ღონისძიება გაიმართა. პედაგოგებმა და მოსწავლეებმა ერთად დაუვიწყარი შემოქმედებითი საღამო გამართეს. მოეწყო ფერების ფესტივალი, ღონისძიების ბოლოს გაიმართა კონცერტი გიორგი ცხადაძისა და ბენდის ,,4 +2" და დიჯეი გიგა პაპასკირის მონაწილეობით.

- ასევე, ფოლკლორის პოპულარიზაციისა და ტურიზმის განვითარების მიზნით, ხონმა უმასპინძლა ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალს, რომელშიც ადგილობრივ ფოლკლორულ და ქორეოგრაფიულ ანსამბლებთან ერთად, მონაწილეობდნენ ინდონეზიის, სომხეთის, ირანის, თურქეთის, ბელორუსიისა და ლატვიის შემოქმედებითი ჯგუფები.

- გაიმართა არაერთი საინტერესო მუსიკალური პროექტი, მათ შორის უნდა აღინიშნოს გელა დონაძისა და ანუკი ცქვიტინიძის კონცერტი (წამყვანი: მაია დათუნაშვილი). კონცერტი -,,ლაშა ღლონტი ოჯახთან ერთად", ლეგენდალური ანსამბლ ,,ქართული

ხმების“ საიუბილეო კონცერტი, რომელიც მიეძღვნა ანსამბლის დაარსებიდან 35 წლისთავს.

- მიმდინარე წელს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით განხორციელდა საინტერესო პროექტი - ,,მთის დღეები გორდში“. დადიანების ტყე-პარკში ,,მთის დღეების” ფარგლებში მოეწყო ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, ადგილობრივი კულინარიის გაკვეთილები და დეგუსტაცია. მთის ერთგულებისა და მის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დაჯილდოვდნენ: დეკანოზი იოანე (გედენიძე), პედაგოგი მაყვალა ამბროლიანი და სპორტსმენი ბაქარ გელენიძე.

განათლება

- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით გამოწვევები ეტაპობრივად ხორციელდება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულების შესაბამისად, ამ გადამზადდა 90 თანაშრომელი - აღმზრდელი, გამგე, ფსიქოლოგი, ლოგოპედი, აქედან 85 გახდა სერტიფიცირებული.

წარმატებით განხორციელდა სოციალურ-საგანმანათლებლო მედია პროექტი - ,,ეტალონი“. სიახლე იყო ის რომ, პროექტი ჩატარდა გუნდური-პრინციპით. ხონის ეტალონი გუნდის ტიტული მოიპოვა მე-2 საჯარო სკოლის გუნდმა და დასაჩუქრდა ერთდღიანი ექსკურსიით.

სპორტი

- ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით, განხორციელდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიება: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული, მუნიციპალიტეტის მკვიდრი მერაბ თუთისანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი კალათბურთში; ქალთა დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიება ფრენბურთში; სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით (6 აპრილი) სასკოლო ჩემპიონათი ჭადრაკში; მოყვარულთა ლიგის გათამაშება დიდ ფეხბურთში 11X11; 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, 17 ოქტომბერს ვეტერანთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სპორტული შეჯიბრი ნარდსა და შაშში; 23 ივნისს ოლიმპიზმის დღესთან დაკავშირებით ,,საფეხბურთო ფესტივალი ხონი 2024“ (გოგონებს შორის). აღნიშნულ ფესტივალში მონაწილეობას ღებულობდა სხვადასხვა მუნიციპალიტეტის გოგონათა

საფეხბურთო გუნდები. გაიმართა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა სპორტის სხვადასხვა სახეობებში. ასევე, ჩატარდა სოფლებში უბნის პირველობები, საცხენოსნო დოღი ქუტირისა (პ.ჯიხაიში) და კუხის ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის.

- სიამაყით უნდა აღინიშნოს, რომ ა(ა)იპ ხონის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის მოსწავლემ მარიამ მურღვლიანმა ესპანეთში გამართულ ჩატარებულ მსოფლიო ჩემპინაოტზე 20 წლამდელთა შორის ვიცე ჩემპიონი-პრიზიორი გახდა (ატაცში- ვერცხლი; ორჯიდში - ბრინჯაო). ასევე, ბუქარესტში გამართულ 2009 წლამდელთა საერთაშორისო ტურნირ თავისუფალ ჯიდაობაში რომან ჯიბუხაია პირველი ადგილის მფლობელი გახდა. სასპორტო სკოლის სხვადასხვა ჯგუფების მოსწავლეები გამარჯვებული არიან საქართველოში ჩატარებულ სხვადასხვა ტურნირებსა და ფესტივალებში. ასევე, უნდა აღინიშნოს ბაქარ გელენიძემ რომელიც გამას ისტორიაში ქამრის მფლობელი გახდა.

ახალგაზრდული საქმე

სამსახურის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და პროექტების ხელშეწყობა. 2024 წლის ეროვნულ გამოცდებზე ხონის მუნიციპალიტეტიდან სამმა ახალგაზრდამ (ანი ქურასბედიანი - სსიპ ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის N3 საჯარო სკოლა, მარიამ ჩიქოვანი- მე-4 საჯარო სჯოლა, ნინო მეშველიანი - მოსე ხონელის N1 საჯარო სკოლა) მოიპოვა სრული დაფინანსება (100% გრანტი). მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ხონის ახალგაზრდული საბჭო, რომელიც ახორციელებს საინტერესო პროექტებს.

6. მუნიციპალიტეტის მერის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები

2024 წელს სულ ხონის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია 110 პროექტის განხორციელება ღირებულებით 6 120 716 ლარი.

,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვალის #23 დადგენილების შესაბამისად , 2024 წელს ხონის მუნიციპალიტეტში რგპფ-ს დაფინანსებით განხორციელდება 23

პროექტი.ძირითადად მიმდინარეობს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. სახელდობრ:

1. სოფელ მათხოჯში მე-10, მე-17, მე-18 ქუჩების მოასფალტება
2. სოფელ საწულუკიძეოში შათირიშვილებისა და დარსაველიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია
3. გურამიშვილის ქუჩის მე-2 შესახვევის (ყოფილი აღმაშენებელის ქუჩა) მოასფალტება.
4. სოფ. გოჩა ჯიხაიშში, ცაგარეიშვილების უბანში გზის მოასფალტება
5. ქ. ხონში, თ. მეფის ქუჩაზე (ჭითას მინდორი) არსებული სკვერის რეაბილიტაცია
6. სოფ. ნახახულევის მე-5 ქუჩაზე ასფალტის საფარის მოწყობა
7. მათხოჯის ადმ. ერთეულის სოფ. სუხჩაში გზის მოასფალტება
8. მათხოჯის ადმ. ერთეულის სოფ. ლეფილიეში გზის რეაბილიტაცია
9. სოფ. კონტუათში მე-3 ქუჩის რეაბილიტაცია
10. სოფ. გუბში მე-14 ქუჩის მოასფალტება
11. სოფელ ნახახულევში მე-8 ქუჩაზე გზის მოასფალტება
12. ქ. ხონში, დევნილთა დასახლება აფხაზეთის ქუჩის რეაბილიტაცია
13. დევნილთა დასახლებაში სპორტდარბაზის რეაბილიტაცია
14. სოფელ პატარა ჯიხაიშში, ბოკელავაძეების უბანში გზის მოასფალტება
15. სოფელ დედალაური, ჩაის მეურნეობა, ტუნგოების დასახლებაში გზის მოასფალტება
16. სოფელ დედალაურში ჭოლოკავების უბანში გზის მოასფალტება
17. სოფელ დედალაურში კინწურაშვილების უბანში ბეტონის საფარის მოწყობა
18. სოფელ დედალაურში ჭელიძეების უბანში გზის მოასფალტება
19. ქ. ხონში, გეგიას ქუჩის პირველი შესახვევის მოასფალტება
20. ქ. ხონში, სოლომონ მეორის ჩიხისა და გეგიას ქუჩის პირველი ჩიხის მოასფალტება
21. ქ. ხონში, რუსთაველის ქუჩის პირველი ჩიხის მოასფალტება
22. ქ. ხონში, დუმბაძის ქუჩის I ჩიხის მოასფალტება
23. მულტიფუნქციური სპორტულ-გამაჯანსაღებელი რეკრეაციული სივრცის მოწყობა (ქ. ხონი, სოლომომ მეორის ქ. #21)

სულ მოასფალტებული იქნება 18 645 გრძმ გზა, საკასო შესრულებამ შეადგინა 5 171 143 ლარი, დასრულებულია 22 პროექტი.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში

საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად მიმდინარე წელს გამოყოფილი იქნა 470 000 ლარი, სულ განხორციელდება 45 პროექტი. მოეწყო გარე განათების სისტემები, კეთილმოეწყო შიგა სასოფლო გზები და განხორციელდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები. მიმდინარე წლის 9 თვეში დასრულებულია 30 პროექტი, საკასო შესრულებამ ამ ეტაპზე შეადგინა 297 801 ლარი.

მაღალ მთაში მიმდინარეობს სოფელ კინჩხაფერდიდან ასხის მთაზე მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. სულ მოეწყობა 20 კმ გზა, ღირებულებით 3 283 570 ლარი. მათ შორის მიმდინარე წელს გათვალისწინებულია 7 კმ გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით 1 000 000 ლარი. ამჟამად შესრულებულია 577 808 ლარის სამუშაოები.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილია 330 000 ლარი. გამოყოფილი თანხიდან შესრულებულია 205 221 ლარის სამუშაოები, სახელდობრ:

- ხონის მუნიციპალიტეში 2024 წლის 5-6 თებერვლის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების რეაბილიტაციისათვის სახურავის მასალის შესყიდვა
- 2024 წლის 20, 21 და 26 ივნისის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოები (გაწმენდა, გასუფთავება, დაღრმავება, ახალი სანიაღვრე სისტემების მოწყობა)

- ხონის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული სოფელ ჩაის მეურნეობის მეორე უბანში მდებარე N2 და N4 საცხოვრებელი სახლების სახურავის რეაბილიტაცია
- ხონის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული სოფ.ივანდიდში მდებარე ვალერიანე ქათამაძის, ქ.ხონში რუსთაველის ქ.N102-ში მდებარე ქეთო სულაბერიძის და ქ. ხონში, დ.ბარათაშვილის ქ. N52-ში მდებარე ნათია კერძაიას საცხოვრებელი სახლების სახურავის რეაბილიტაცია.

- 2023 წლის 10-13 იანვრის სტიქიური მოვლენების (ძლიერი ქარი) შედეგების სალიკვიდაციოდ, დაზიანებული სახელმწიფო ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები, კერძოდ: 1. ქ. ხონში კულტურის სახლის სახურავის რეაბილიტაცია. 1. ხონის მუნიციპლიტეტს საკრებულოს შენობის სახურავის რეაბილიტაცია. 2. ქალაქ ხონში, სოლომონ მეორის ქუჩა N7–ში საცხოვრებელი შენობის სახურავის რეაბილიტაცია.
- 2023 წლის 10-13 იანვრის სტიქიური მოვლენების (ძლიერი ქარი) შედეგების სალიკვიდაციოდ, დაზიანებული სახელმწიფო ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები, კერძოდ: ქალაქ ხონში, თავისუფლების ქუჩა N12–ში არსებული საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია

- დედალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ჩაის მეურნეობის მე-2 უბანში #6 ოთხბინიანი საცხ. სახლის სახურავის რეაბილიტაცია
- ნახახულევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ახალბედისეულში გივი კაკაურიძის სახლის სახურავის რეაბილიტაცია
- კინჩხისა და ქუტირის ადმ. ერთეულებში სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის სახურავების შეძენა

ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებით განხორციელდა ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის ოთახების სარეაბილიტაციო სამუშაოებით, ღირებულებით 11 712 ლარი.

ევროკავშირის დაფინანსებით ხორციელდება 4 პროექტი ღირებულებით 742 992 ლარი.

- ხონის მუნიციპალიტეტში სანაგვე ურნების შემოღობვის სამუშაოები
- მულტიფუნქციური სპორტულ-გამაჯანსაღებელი რეკრეაციული სივრცის მოწყობა (ქ. ხონი, სოლომომ მეორის ქ. #21
- ხონის მუნიციპალიტეტის ქალაქსა და სოფლებში 32 ლოკაციაზე სანაგვე ურნების კეთილმოწყობის (შემოღობვის) სამუშაოები
- ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ გუბიდან სოფელ კონტუათამდე გარე განათების სისტემის რეაბილიტაცია

ამჟამად შესრულებულია 458 500 ლარის სამუშაოები.

ამავე პერიოდში მომზადებული იქნა დოკუმეტაცია 2025 წელს განსახორციელებელი პროექტების შესახებ.

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით დასრულდა სოფელ გორდში საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

აჟამად, ამავე ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს ქალაქის #3 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისა და სოფელ მათხოჯის საბავშვო ბაღის მშენებლობა.

მიმდინარეობს ქ. ხონში, მოსე ხონელის სახელობის პირველი საჯარო სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოები.

7. მუნიციპალიტეტის საკრებულოში მერის მიერ ინიცირებული საკითხები:

დადგენილების პროექტები:

- ხონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის ინდივი-დუალური საცხოვრებელი სახლების, მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი II კლასის დამხმარე ხასიათის შენობა-ნაგებობების და II კლასის ღობეების მშენებლობისათვის (რეკონსტრუქციისათვის), მშენებლობის ნებართვის ვალდებულების ნაცვლად, მშენებლობის დეტალური შეტყობინების დადგენის შესახებ დადგენილების პროექტი.
- ხონის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტების აღრიცხვა-ანგარიშგების წესისა და ამ დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი
- ხონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი
- ხონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი
- ხონის მუნიციპალიტეტის მერიის მეწარმეთა და ინვესტორთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი
- ხონის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტირების სამუშაო ჯგუფის შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი[i]
- ხონის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმის, მისი გაცემისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი
- ხონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი
- ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტი
- ხონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი

- ხონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებდადგენილების პროექტი.

განკარგულების პროექტები:

- ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2024 წლის პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი
- ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2024 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი
- ხონის მუნიციპალიტეტის კუთვნილი უძრავი ქონების, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სსიპ ,,საქართველოს სტსტისტიკის ეროვნული სამსახურისათვის" გადაცემაზე, ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.“ განკარგულების პროექტი
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის #2401 განკარგულების შესაბამისად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ ხონის მუნიციპალიტეტში 2024 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის განკარგულების პროექტი
- ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვაზე ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ’’ განკარგულების პროექტი
- ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ა(ა)იპ ,,ხონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის’’ შენობაში განთავსებული საიჯარო ობიექტის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვაზე ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ’’ განკარგულების პროექტი
- ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირობებიანი ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვაზე ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ’’ განკარგულების პროექტს.ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ა(ა)იპ ,,ხონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის’’ შენობაში განთავსებული საიჯარო ობიექტის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვაზე

ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ’’ განკარგულების პროექტი

- ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ა(ა)იპ ,,ხონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის’’ შენობაში განთავსებული საიჯარო ობიექტის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვაზე ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ’’ განკარგულების პროექტი
- ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ა(ა)იპ ,,ხონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის’’ შენობაში განთავსებული საიჯარო ობიექტის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვაზე ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ’’ განკარგულების პროექტი
- ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2024 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი
- ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2024 წლის პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი
- ხონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების შესახებ“განკარგულების პროექტი
- ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ ,,რეაბილიტაციის ცენტრი ნაიოსათვის“ გადაცემაზე ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტს.ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2024 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი
- ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2024 წლის პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი
- ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სსიპ ,,იურიდიული დახმარების სამსახურისთვის“ გადაცემაზე, ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ’’ განკარგულების პროექტი
- ხონის მუნიციპალიტეტის კუთვნილი უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ ,,სოფლის განვითარების სააგენტოსათვის“ გადაცემაზე ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ. განკარგულების პროექტი

- ,,ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელ. აუქციონის წესით განკარგვაზე ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტი
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირობებიანი ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვაზე ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი
- ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებული საიჯარო ობიექტის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვაზე ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ'' განკარგულების პროექტი
- ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებული საიჯარო ობიექტის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვაზე ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ'' განკარგულების პროექტი
- ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებული საიჯარო ობიექტის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვაზე ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ'' განკარგულების პროექტსი
- ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2024 წლის პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ'' ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 მარტის N178 (გ-61.61240803; 20.03.2024) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' განკარგულების პროექტი
- ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2024 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ,, ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 მარტის N177 (გ-61.61240802; 20.03.2024) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''განკარგულების პროექტი
- ხონის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი
- ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2024 წლის პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ'' ხონის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2024 წლის 29 მაისის N198 (გ-61.61241509; 29.05.2024) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' განკარგულების პროექტი

- ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირდაპირი წესით განკარგვაზე ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტი
- ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2024 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ ,,ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მაისის N197 (გ-61.61241508; 29.05.2024) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''განკარგულების პროექტი
- ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად გამოყოფილი შენობების ნუსხის დამტკიცების შესახებ" და „წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ" განკარგულების პროექტი
- ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2024 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ ,,ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 აგვისტოს N225 (გ-61.61242423; 29.08.2024) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''განკარგულების პროექტი
- ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2024 წლის პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ'' ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 აგვისტოს N226 (გ-61.61242424; 29.08.2024) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' განკარგულების პროექტი

ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა 11 დადგენილება და 30 განკარგულება

8. მუნიციპალიტეტის მერის მიერ საანგარიშო პერიოდში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების რაოდენობა

საანგარიშო პერიოდში გამოცემულ იქნა - 1397 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ბრძანება)

9. მუნიციპალიტეტის მერის მიერ საანგარიშო პერიოდში დადებული ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების რაოდენობა

საანგარიშო პერიოდში დადებულ იქნა 4 მემორანდუმი

10. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 214 (აღსანიშნავია რომ ეს ციფრი აღნიშნავს იმ მოქალაქეთა რაოდენობას რომლებიც ოფიციალურად გამოყოფილ დღეებში დარეგისტრირდნენ მერთან მიღებზე)
11. მოქალაქეთა პრობლემებზე მერის მიერ რეაგირების ფორმები(მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი საკითხები)
2024 წელს 9 თვის განმავლობაში მოქალაქეთა მიერ სხვადასხვა ფორმით (სოფლის კრება,დასახლების კრება და ა.შ.)
წარდგენილ იქნა 82 წინადადება, ამათგან უარყოფითად გადაწყდა 37 საკითხი, დადებითად გადაწყდა 45 წინადადება, გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ ადრესატებს,ოქმები ატვირთულია ხონის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.

შევსების თარიღი: 21 ოქტომბერი 2024წ.

წარდგენის თარიღი: 24 ოქტომბერი 2024წ.

ხელმოწერა: